

სააუქციონო პირობები

აუქციონში გამარჯვებულმა პირმა:

ა) არაუმეტეს 2 (ორი) თვისა უზრუნველყოს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილის კეთილმოწყობა (დახაზვა, ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების დაყენება და პარკირების ადგილის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება).

ბ) პარკირების ადგილის მიმართ, რომელიც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლებას, პარკირების ორგანიზების მიზნით:

ბ.ა) უზრუნველყოს პარკირების ადგილის მიზნობრივად გამოყენება.

ბ.ბ) უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მომზადება. კერძოდ: საგზაო მონიშვნების დახაზვა, საინფორმაციო დაფების და საგზაო ნიშნების მონტაჟი (პარკირების საერთო სადგომი, ინფორმაცია პარკირების ტარიფების შესახებ და სხვა სავალდებულო ნიშნებისა და დაფების დაყენება).

ბ.გ) უზრუნველყოს პარკირების ადგილზე ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების წესების დაცვა.

ბ.დ) დააწესოს კონტროლი პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის წესების დაცვაზე.

ბ.ე) დააწესოს პარკირების ადგილით სარგებლობისათვის საფასური და განსაზღვროს საფასურის ოდენობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ზღვრების ფარგლებში.

ბ.ვ) უზრუნველყოს პარკირების მომსახურე პერსონალის განწესება, გადამზადება და მათი უნიფორმით და სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებებით აღჭურვა.

ბ.ზ) უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირების კამპანიის დაწყება, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოების ინფორმირებას პარკირების ახალი სისტემის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის პარკირებით შემოღებული სარგებლის შესახებ. აღნიშნული კამპანიების ფორმა მოიცავს ქუჩებში ფლაერების განთავსებას, ტელე და რადიო რეკლამებს/განცხადებებს, რომელიც უნდა გაგრძელდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან სულ მცირე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

ბ.თ) 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს საინფორმაციო ცენტრის (ცხელი ხაზის) ჩამოყალიბება, რომელიც მოახდენს მოქალაქეების ინფორმირებას პარკირების წესებთან, ასევე გადახდის საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

ბ.ი) 6 (ექვსი) თვის ვადაში განახორციელოს პარკირების საფასურის გადახდის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

ბ.კ) პარკირების საფასურის გადახდის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამდე პარკირების საფასურის ყველა ტიპის შესაბამისი საშვების (მაგ: სტიკერი საქარე მინისთვის, გადასაფხევი ბარათი ან სხვა) მემწევობით პარკირების საფასურის გადახდა.

ბ.ლ) პარკირებისთვის გამოყოფილ ადგილზე უზრუნველყოს ვიდეო-სათვალთვალო მოწყობილობ(ებ)ის განთავსება-მონტაჟი 6 (ექვსი) თვის ვადაში (ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში).

ბ.მ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილი სადგომების გამოყოფა (მათ შორის:

საგზაო მონიშვნების დახაზვა, საინფორმაციო დაფების და საგზაო ნიშნების მონტაჟი (პარკირება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის) და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე პარკირების ადგილის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული შემდეგი საქმიანობა:

გ.ა) საინფორმაციო დაფებისა და ნიშნების მუდმივი განახლება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი აღდგენა ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში, უმოკლეს ვადაში.

გ.ბ) პარკირების საფასურის გადახდის დაზიანებული ან მოპარული მოწყობილობების აღდგენა ან ახლით შეცვლა, უმოკლეს ვადაში.

გ.გ) პარკირების საერთო ადგილის კუთვნილ საზღვრებში არსებული გზის ზედაპირისა და მონიშვნითი სამუშაოების მუდმივი აღდგენა-რეაბილიტაცია.

გ.დ) უზრუნველყოს პარკირების ორგანიზების უფლების მინიჭების აქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების შესრულება.

გ.ე) უზრუნველყოს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ივლისის №14/18 დადგენილებით დამტკიცებული წესების და წინამდებარე პირობების სრულად შესრულება.

დ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წერილობით წარმოდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტაცია შესაბამისი გამოცდილების (ტექნოლოგიური სისტემის/სისტემების დანერგვასა და მართვის სფეროში) შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს მის მიერ გადახდილი „ბე“ უკან არ უბრუნდება.

ე) არ დააზიანოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი პარკირების საერთო ადგილის მიმდებარედ გამავალი მიწისქვეშა/მიწისზედა კომუნიკაციები:

ვ) თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი პარკირების საერთო ადგილის მიმდებარედ/მომიჯნავედ განთავსდება ნაგავშემკრები კონტეინერები/სანაგვე ურნები და რომელთა დაცლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის აუცილებელი იქნება განხორციელდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი პარკირების საერთო ადგილის გადაკვეთა, მოიჯარე ვალდებულია არ შეაფერხოს კონტეინერების/სანაგვე ურნების დაცლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის პროცესი და ამისათვის კონტეინერების/სანაგვე ურნების დაცლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურე ფიზიკურ/იურიდიულ პირს ან/და შესაბამის უწყებას დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად მისცეს კონტეინერების/სანაგვე ურნების დაცლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის შესაძლებლობა. ამასთან, მოიჯარეს უფლება აქვს კონტეინერების/სანაგვე ურნების დაცლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურე ფიზიკურ/იურიდიულ პირს ან/და შესაბამის უწყებას შეუთანხმოს აღნიშნული საკითხი.